F 171
1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**5**

მაისი

თბილისი — 1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


1. ბრძანება № 481—„ნორჩ რაციონალიზატორთა“ და ნორჩ კინომოყვარულთა 1966 წლის თემატური დათვალიერების მონაწილეთა დაჯილდოების თაობაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილების გაცნობის შესახებ . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 505—წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 9
3. ბრძანება № 583—წყალტუბოს რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 16
4. ბრძანება № 585—ქ. თბილისის ბაგა-ბაღების ბაგის ჯგუფების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 26
5. ბრძანება № 587—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდური კაბინეტის შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტად გარდაქმნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 31
6. ბრძანება № 589—ქ. სამტრედიის მესამე საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . 34
7. დებულება სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორის შესახებ . . . 36
8. ბრძანება № 663—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მეშვიდე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ შედეგებისა და მერვე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 39
9. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება . . . . . . . . 51
10. ბრძანება № 9/419—აფხაზეთისა და აჭარის განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 58
11. Указания о приеме учащихся в вечерние (сменные) и заочные средние общеобразовательные школы . . . . . . . . . . . . . . 60

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 12 აპრილის ბრძანება № 481

## „ნორჩ რაციონალიზატორთა“ და „ნორჩ კინომოყვარულთა“ 1966 წლის თემატური დათვალიერების მონაწილეთა დაჯილდოების თაობაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილების გაცნობის შესახებ

ვაქვეყნებ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის 1966 წლის 29 ნოემბრის № 175 დადგენილებას „ნორჩ რაციონალიზატორთა“ და „ნორჩ კინომოყვარულთა“ თემატური დათვალიერების 1966 წლის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტი ადგენს დაჯილდოებულ იქნენ:

საქართველოს სსრ-ში

საპატიო დიპლომით

**საქართველოს სსრ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური ქ. თბილისი**

მუშაობის კარგი ორგანიზაციის, ნორჩ ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა ოლიმპიადის ჩატარების, გამოფენების, შეჯიბრებების, თვითნაკეთი ხელსაწყოების და თვალსაჩინო მასალების დამზადებისათვის კონკურსების მოწყობის, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისადმი დახმარების გაწევის, კიბერნეტიკული ხელსაწყოების, ნიადაგის თერმომეტრის, ტრანზისტორიანი მაგნიტოფონის, მაღალი სიხშირის ტრანსფორმატორის, ელექტროგამტარობის კომპლექტის,

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ავტომობილების ახალი მოდელების დამუშავებისა და დამზადები-სათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ოქროს მედლითა და ფულადი ჯილდოთი ორასი მანეთის ოდენობით

ეპიტაშვილი გიორგი გიორგის ძე—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი—ტექნიკური წრეების ქსელის განვითარებისათვის, ოლიმპიადების, კონკურსების, შეჯიბრებების ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის, ელექტროგიტარების კომპლექტის, ნიადაგის თერმომეტრის, ავტომანქანების მოდელების, ტრანზისტორებიანი მაგნიტოფონის დამუშავებასა და დამზადებაში მონაწილეობისათვის.

### ბრინჯაოს მედლით და ფულადი ჯილდოთი ორმოცდაათი მანეთის ოდენობით

ჩარგეიშვილი როინ ირაკლის ძე—რადიოწრის ხელმძღვანელი—ელექტროგიტარის, ერთხმიანი მუსიკალური ინსტრუმენტისა და მაღალი სიხშირის ორარხიანი გამაძლიერებლის დამუშავებისა და დამზადებისათვის.

### მედლით „სმმგ-ს ნორჩი მონაწილე“ და ფულადი ჯილდოთი ოცდახუთი მანეთის ოდენობით

გარაყანიძე ზაალ—ნორჩი-ტექნიკოსი—ელექტროგიტარისა და მაღალი ხარისხის ორარხიანი გამაძლიერებლის დამზადებაში მონაწილეობისათვის;

გურეშიძე ნუგზარ—ნორჩი-ტექნიკოსი—ელექტროგიტარისა და მაღალი სიხშირის ორარხიანი გამაძლიერებლის დამზადებაში მონაწილეობისათვის;

დიდებულიძე ირაკლი—ნორჩი ტექნიკოსი—მაღალი სიხშირის ტრანსფორმატორისა და გამომცდელი ხელსაწყოს დამზადებისათვის;

კარბელაშვილი ნინო—ნორჩი-ტექნიკოსი—„ადამიანის ხასიათის“ განმსაზღვრელი კიბერნეტიკული ხელსაწყოს დამზადებისათვის;

მაგდალიანოვი კუზმა—ნორჩი-ტექნიკოსი — მონოლიანდაგიანი რკინიგზის და მიკროლიტრაჟიანი ავტომანქანა „სპუტნიკის“ მოდელების დამზადებისათვის;

სომხიშვილი სპარტაკ—ნორჩი ტექნიკოსი— ელექტრონული საჰწორის მოდელის დამზადებისათვის;

ტატევოსიანი გენრიხ—ნორჩი ტექნიკოსი—დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მოდელების დამზადებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვაური თემურ—ნორჩი ტექნიკოსი—ტრანზისტორებზე მომუშავე პორტატიული მაგნიტოფონის დამზადებისათვის;

ტიგიშვილი ავთანდილ—ნორჩი ტექნიკოსი—ფოტოექსმონომეტრისა და ნიადაგის თერმომეტრის დამზადებისათვის;

**მეორე ხარისხის დიპლომით:**

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი—ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე—ტექნიკური წრეების მუშაობის კარგი ორგანიზაციის, მოკლეტალღიანი რადიოსადგურის, ერთხმიანი ელექტრომუსიკალური ინსტრუმენტის, სასკოლო გამომცდელ-მასწავლებელი მანქანის და „გსსდ“ გენერატორის დამუშავებისა და დამზადებისათვის.

**მედლით „გამოფენის ნორჩი მონაწილე“**
**და ფულადი ჯილდოთი ოცდახუთი მანეთის ოდენობით:**

არველაძე ვასილ—ნორჩი ტექნიკოსი—სასკოლო გამომცდელ-მასწავლებელი მანქანის დამუშავებისა და დამზადებისათვის;

ბახჩიგულიანი მიხეილ—ნორჩი ტექნიკოსი—სტანდარტული სიგნალების „გსსდ“ გენერატორის დამზადებისათვის;

მაისურაძე თენგიზ—ნორჩი ტექნიკოსი—სასკოლო გამომცდელ-მასწავლებელი მანქანის დამუშავებისა და დამზადებისათვის;

მუსატოვი ბრო—ნორჩი ტექნიკოსი—ერთხმიანი ელექტრომუსიკალური ინსტრუმენტის დამზადებისათვის.

**მესამე ხარისხის დიპლომით:**

ქ. გორის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური—ქალაქის სკოლებში საწრეო მუშაობის კარგი ორგანიზაციის, ელექტრონული თერმომეტრის, თერმორეგულატორის და ელექტრონული მეტრონომის დამუშავებისა და დამზადებისათვის;

ქ. თბილისის 86-ე საშ. სკოლა—ტექნიკური წრეების მუშაობის კარგი ორგანიზაციის, დაბალი სიხშირის სტერეოგამაძლიერებლის, ლიმფური ტესტერის, სტრობოსკოპიული ტახომეტრის დამუშავებისა და დამზადებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ხრინჯაოს მედლით და ფულადი ჯილდოთი ორმოცდაათი მანეთის ოდენობით

კარაპეტიანი რონდოზ ალექსანდრეს ძე—რადიოწრის ხელ-ი—წრის მუშაობის ორგანიზაციის, რადიომიმღებების, რადიოსადგურის, დაბალი სიხშირის მაღალხარისხოვანი სტერეოგამაძლიერებლის, სტრობოსკოპიული ტახომეტრის დამუშავებისა და დამზადებისათვის.

### მედლით „გამოფენის ნორჩი მონაწილე“ და ფულადი ჯილდოთი ოცდახუთი მანეთის ოდენობით

არუთინოვი ოლეგ—ნორჩი ტექნიკოსი — სტრობოსკოპიული ტახომეტრის დამზადებისათვის;

ვილდანოვი ალექსანდრე—ნორჩი ტექნიკოსი—ლამფური ტესტერის დამზადებისათვის.

### მესამე ხარისხის დიპლომით

სამხრეთ ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგური—ოლქის სკოლებში ტექნიკური წრეების მუშაობის კარგი ხელმძღვანელობის, მოსიარულე ექსკავატორის მოქმედი მოდელის, ვიბრომანქანის მოდელის, ელექტროდიაგნოზტიკოსის, ელექტრული ვიბრობუნკერის დამუშავებისა და დამზადებისათვის.

### მედლით „გამოფენის ნორჩი მონაწილე“ და ფულადი ჯილდოთი ოცდახუთი მანეთის ოდენობით

გოგინოვი მიხეილ—ნორჩი ტექნიკოსი—მოსიარულე ექსკავატორის მოქმედი მოდელის დამზადებაში მონაწილეობისათვის;

კაზოევი მიხეილ—ნორჩი ტექნიკოსი—ვიბრომანქანის მოდელის დამზადებისათვის;

კოჩიევი გივი—ნორჩი ტექნიკოსი—ელექტრული ვიბრობუნკერის მოდელის დამზადებისათვის;

სერვენტიკი ვიტალი—ნორჩი ტექნიკოსი—მოსიარულე ექსკავატორის მოქმედი მოდელის დამზადებისათვის;

ხარებოვი ბაგრატ—ნორჩი ტექნიკოსი—ელექტროდიაგნოზტიკოსის დამზადებისათვის.

ქ. თბილისის 76-ე საშუალო სკოლიდან
მედლით „გამოფენის ნორჩი მონაწილე“ და ფულადი ჯილდოთი
ოცდახუთი მანეთის ოდენობით

მოზარკინი გენადი—ნორჩი ტექნიკოსი—ელექტრონული გამომცდელ-მასწავლებელი მანქანის დამუშავებასა და დამზადებაში მონაწილეობისათვის;

ივსიანიკოვი ნიკოლოზ—ნორჩი ტექნიკოსი—ელექტრონული გამომცდელ-მასწავლებელი მანქანის დამუშავებასა და დამზადებაში მონაწილეობისათვის;

შევჩენკო გრიგოლ—ნორჩი ტექნიკოსი—ელექტრონული გამომცდელ-მასწავლებელი მანქანის დამუშავებასა და დამზადებაში მონაწილეობისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის
მიღწევათა გამოფენის მთავარი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ელიუტინი“

სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის 1966 წლის 29 ნოემბრის (№ 175) დადგენილების განსახორციელებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააცნონ სკოლის დირექტორებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილება და ხელი შეუწყონ სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში არსებულ ნორჩ ტექნიკოსთა წრეების მუშაობის გაუმჯობესებას;

ბ) უზრუნველყონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ბავშვთა საუკეთესო ნამუშევრების ექსპონირება.

2. ნორჩ ტექნიკოსთა წრეების მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ბავშვთა საუკეთესო ექსპონატების წარდგენისათვის გამოეცხადოთ მადლობა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. გიორგი გიორგის ძე ეპიტაშვილს (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორს) და ამავე სადგურის პედაგოგიური კოლექტივის მთელ შემადგენლობას;

2. როინ ირაკლის ძე ჩარგეიშვილს (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიო წრის ხელმძღვანელი);

3. ჯუანშერ ალექსანდრეს ძე კვარაცხელიას (ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი);

4. ვახტანგ გიორგის ძე ცოტნიაშვილს (ქ. გორის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორი);

5. რობერტ აირაპეტის ძე ბაბაიანს (ქ. თბილისის 76-ე საშ. სკოლის დირექტრი);

6. იაკობ სტეფანეს ძე შახრამანოვს (ქ. თბილისის 86-ე საშ. სკოლის დირექტორი);

7. რონდოზ ალექსანდრეს ძე კარაპეტიანს (ქ. თბილისის 86-ე საშ. სკოლის რადიო ტექნიკური წრის ხელმძღვანელი);

8. გაბრიელ კუზმას ძე ბაგაევს (ცხინვალის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორი).

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებების ტექნიკური წრეები, ლაბორატორიები, კაბინეტები შესაფერისი ხელსაწყოებითა და მასალებით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 15 აპრილის ბრძანება № 505

### წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლები აპ. მანია (ქართული ენა და ლიტერატურა), დ. პაპასკირი (რუსული ენა და ლიტერატურა), ლ. კუხილავა (მათემატიკა), ნ. ფიფია (ფიზიკა) და სხვ. სისტემატური, გულმოდგინე პედაგოგიური შრომით აღწევენ ერთგვარ წარმატებებს წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდების სწავლებასა და აღზრდაში.

ამასთან წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაო მუშაობას ატარებენ რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად: არ აღრიცხავენ ასეთ კონტინგენტს, არ აწარმოებენ მათთან სათანადო ახსნა-განმარტებით მუშაობას, არ ამყარებენ საქმიან კავშირს ადგილობრივ ორგანოებთან და წარმოება-დაწესებულებებთან. ადგილებზე შექმნილი არ არის საღამოს სკოლებისათვის დამხმარე მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები. ყოველივე ამის გამო, წალენჯიხის რაიონში არ შესრულდა სწავლებაში კონტინგენტის ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა: დააკლდა ერთი კლასი 24 მოსწავლით.

ადგილი აქვს კლასების დაუტვირთაობის შემთხვევებს. ჩხოროწყუს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VIII კლასში 6 მოსწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეა, IX კლასში კი—9. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც.

სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა ერთი ნაწილი ხშირად აცდენს სასწავლო მეცადინეობას; ასე, მაგალითად, შემოწმების დღეს, 14 მარტს წალენჯიხის რაიონის ჯგალის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის (დირექტორი ვ. კვარაცხელია) V კლასის 10 მოსწავლიდან გაკვეთილზე გამოცხადდა მხოლოდ 1 ახალგაზრდა, IX კლასის 12 მოსწავლიდან აგრეთვე 1, VIII კლასის 13 მოსწავლიდან 3 ახალგაზრდა და ა. შ.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში: სკოლის წლიური და პედაგოგიური საბჭოების ნახევარწლიური სამუშაო გეგმები მოუფიქრებლად და ფორმალურად დგება. წალენჯიხის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის (დირექტორი ა. მებონია) პედაგოგიური საბჭოს სხდომას განუხილავს საკითხი ფიზიკა-მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ისე, რომ წინასწარ ამ საგნების მასწავლებელთა არც ერთი გაკვეთილი არ მოუსმენია. ამის გამო, მიღებული დადგენილებაც ზოგადი და არაფრისმთქმელია.

პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე არ არის განხილული განათლების სამინისტროს მიერ 1966 წელს დაშვებული ბრძანებები რესპუბლიკის სკოლებში საგაზაფხულო გამოცდების დროს გამოვლინებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა და უმაღლეს სასწავლებლებში მედლით დაჯილდოებულ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ და არ არის გაკეთებული საჭირო დასკვნები. გასული სასწავლო წლის ბოლოს ჩხოროწყუსა და წალენჯიხის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებმა ვერცხლის მედლით დააჯილდოვა—პირველმა 6 და მეორემ—3 საშუალო სკოლის კურსდამთავრებული. ამ სკოლის XI კლასის ზოგ მოსწავლეს წელსაც მიღებული აქვს შეფასების მაღალი ნიშნები („5“, „4“), რომელთაც ისინი სრულიადაც არ იმსახურებენ.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები, რაც იმითაც არის გამოწვეული, რომ არასაკმაო დახმარება და კონტროლი ხორციელდება ამ მნიშვნელოვანი სასკოლო დოკუმენტების შედგენაზე.

ზოგ სკოლაში უხეშად არის დარღვეული გაკვეთილების ცხრილის შედგენის პრინციპები. ჩხოროწყუს სოფლის ახალგაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდობის სკოლის VIII კლასის ცხრილში ხუთშაბათს არის შეტანილი ინგლისური ენა, ხაზვა, რუსული ენა, ქართული ლიტერატურა და ქართული ენა; წალენჯიხის რაიონის ჯვრის მუშა ახალგაზრდობის სკოლის VIII კლასში ხუთშაბათს ცხრილში შეტანილია ალგებრა, ქიმია, გეომეტრია, ფიზიკა; ამავე სკოლის IX კლასში ოთხშაბათს ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები შეტანილია ორჯერ.

საკმაო ყურადღება არ ექცევა სასკოლო დოკუმენტების წარმოებას: წალენჯიხის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში კურსდამთავრებულებზე გაცემული საშუალო განათლების ატესტატების ჩასაწერ წიგნში აღრიცხულ 15 კურსდამთავრებულს არ უწერია შეფასებათა ნიშნები; ჩხოროწყუს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის XI კლასის მოსწავლეთა პირად საქმეში არ არის X კლასში მიღებულ შეფასებათა ნიშნები; წალენჯიხის, ჯგალის სოფლის ახალგაზრდობისა და ჯვრის მუშა ახალგაზრდობის სკოლებს არა აქვთ სკოლის დღიური და ა. შ.

ზემოაღნიშნული რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, უინტერესოდ, მოსაწყენად ატარებს გაკვეთილს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს წალენჯიხის რაიონის ჯგალის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. ხარჩილავა. შემოწმების დღეს, 14 მარტს მას არც ერთი გაკვეთილის გეგმა არ აღმოაჩნდა. VI კლასის არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა წინა გაკვეთილის მასალა. მასწავლებელი გულისხმიერად არ ასწორებს მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებს, შეუმჩნევლად სტოვებს ბევრ შეცდომას და ნაწერს არაობიექტურად აფასებს; ასე, მაგალითად, XI$^{1}$ კლ. მოსწავლე მ. კ.-ს საკონტროლო ნამუშევარში მან აღნიშნა 20-ზე მეტი შეცდომა, დაახლოებით ამდენივე შეუმჩნევლად დატოვა და მოსწავლე შეაფასა ნიშნით—„3“. მესამე მეოთხედში ამ კლასში ჩატარდა მხოლოდ ერთი საკონტროლო წერა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს და მოსწავლეთა ცოდნას არაობიექტურად აფასებს აგრეთვე ჩხოროწყუს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. ნაჭყებია (იგივე დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში); მან XI კლასის ხუთი მოსწავლე ქართულ ლიტერატურაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(წერა) I—II მეოთხედში შეაფასა მაღალი ნიშნით—„5“, „4“; შემოწმების დღეს კი ამ კლასის ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ დაიმსახურა დადებითი შეფასება ამ საგანში.

ანალოგიური მდგომარეობაა წალენჯიხის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაშიც (მასწავლებელი ჭ. კვარაცხელია). ამ სკოლის XI კლასის 22 მოსწავლიდან, რომელთაც 16 მარტს შეასრულეს საკონტროლო წერითი სამუშაო ქართულ ლიტერატურაში, დადებითი შეფასება მიიღო მხოლოდ ორმა.

დაბალ მეცნიერულ დონეზე ჩაატარა IX კლასში ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილი წალენჯიხის რაიონის ჯვრის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ვ. გოგოლავამ. მან ახალი მასალის—ნებისმიერი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციების ნაცვლად მოსწავლეებს აუხსნა მახვილი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციები.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე წალენჯიხის რაიონის ჯგალის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ც. ფიფია. მას არა აქვს საჭირო ცოდნა ამ საგნის სწავლებისათვის. თვით მასწავლებელს უჭირს განასხვაოს ერთმანეთისაგან განტოლების ფესვები და კოეფიციენტები. მან ვერ შესძლო კვადრატული განტოლების შედგენა მისი ფესვების მიხედვით. მასწავლებელი ც. ფიფია უყურადღებოდ სტოვებს მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომებს. ყოველივე ამის გამო, ძალზე დაბალია VIII—IX კლასების მოსწავლეთა მომზადება მათემატიკაში.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლის მათემატიკას წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯგალის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელი (იგივე სკოლის დირექტორი) ვ. კვარაცხელია; იგი ისე ატარებს მათემატიკაში საკონტროლო წერას, რომ გასწორებული არა აქვს წინა ნაწერები; დაბალია XI კლასის მოსწავლეთა მომზადება: 14 მარტს ამ კლასის 16 მოსწავლიდან საკონტროლო წერა შეასრულა 6-მა და მათგან დადებითი შეფასება დაიმსახურა მხოლოდ ერთმა მოსწავლემ.

ცუდი შედეგები გამოვლინდა მათემატიკაში საკონტროლო წერის შედეგად აგრეთვე დ. ჩხოროწყუს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის XI$^{2}$ კლასში (მასწავლებელი დ. მამაგეიშვილი), სადაც 18 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 17-მა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი თვალსაჩინოებისა და ცდების გარეშე ისწავლება ფიზიკა დ. ჩხოროწყუს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის XI კლასში (მასწავლებელი ნ. შენგელია).

წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მივიწყებულია მეთოდური მუშაობა.

ნაკლოვანებანი ცალკეული საგნების სწავლებაში მნიშვნელოვანწილად შეპირობებულია იმითაც, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილი შეთავსებით მუშაობს საღამოს სკოლაში და დიდი სასწავლო დატვირთვა აქვს. წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვრის მუშა ახალგაზრდობის სკოლის 15 მასწავლებლიდან შემთავსებელია 14. ამ სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ალ. აქუბარდიას დღის სკოლაში აქვს 32 საათი, საღამოს კი—8 საათი, მეორე მათემატიკოსს რ. ციმინტიას დღის სკოლაში აქვს 24 საათი, საღამოს სკოლაში —15, ლ. პაჩანოვას ინგლისური ენისა და გეოგრაფიის საათები აქვს—დღის სკოლაში 30, საღამოს სკოლაში კი 16 და ა. შ.

წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ სკოლების დირექტორები და სასწავლო დარგში მათი მოადგილეები სრულიად არასაკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებენ მასწავლებელთა მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებმა გადაჭრით აამაღლონ პასუხისმგებლობა საგნის სწავლებისადმი, სისტემატურად იმუშაონ თავიანთი პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ასამაღლებლად, მიაღწიონ წარმოებაში დასაქმებული მოსწავლე ახალგაზრდების სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესებას.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო მუშაობის დარგში მათმა მოადგილეებმა:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ შინასასკოლო კონტროლი, დახმარება და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე და მიაღწიონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საჭირო ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა კვალიფიკაციის, მათი პედაგოგიურ-მეთოდური დონის ამაღლებას. ამ მიზნით შექმნან საგნობრივი და სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებანი;

გ) გულმოდგინედ შეისწავლონ სკოლების მუშაობის ყველა მხარე, გამოავლინონ ხარვეზები, დადებითი გამოცდილება და გაითვალისწინონ ისინი სასკოლო მუშაობის დაგეგმვისას;

დ) გადაჭრით გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოების მუშაობა: გულდასმით დაგეგმონ და კარგად მოამზადონ სხდომებზე განსახილველი საკითხები. პერიოდულად შეისწავლონ და მოისმინონ პედაგოგიური საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხი;

ე) საქმიანი კავშირი დაამყარონ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, დაუყოვნებლივ შექმნან სკოლების მუშაობის ხელშემწყობი კომისიები;

ვ) სკოლების მთელ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებით, ინსტრუქციებით, დებულებებით, ბრძანებებითა და სხვა დოკუმენტებით;

ზ) წესრიგში მოიყვანონ სასკოლო დოკუმენტაცია.

3. წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ვ. ბელქანიამ და ვ. როდონაიამ):

ა) პერიოდულად შეამოწმონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების მდგომარეობა და, საჭიროების შემთხვევაში, გაატარონ სათანადო ღონისძიებანი;

ბ) მიიღონ ზომები ამ ტიპის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. პედაგოგიური კაბინეტების ყურადღება მიაქციონ მათში მეთოდური მუშაობის ფორმებისა და შინაარსის განსაზღვრასა და ხელმძღვანელობაზე;

გ) მიმდინარე წლის 20 ივლისამდე მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

4. სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის წალენჯიხის რაიონის ჯგალის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს. მათემატიკის მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელს ე. კვარაცხელიას და ჩხოროწყუს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ვ. ნაჭყებიას გამოეცხადოთ საყვედური.

5. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო წალენჯიხისა და ჯგალის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ჭ. კვარაცხელიას და ვ. ხარჩილავას, აგრეთვე ჯგალის სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ც. ფიფიას გამოეცხადოთ საყვედური

6. საგნის სწავლებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამო წალენჯიხის რაიონის ჯვრის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლებს ნ. შენგელიას და ვ. გოგოლავას მიეთითოთ.

7. ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ვ. როდონაიამ და ვ. ბელქანიამ) წარმოადგინონ თავიანთი წინადადებანი სასწავლო მუშაობის დარგში ჩხოროწყუს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორის მოადგილის ვ. ნაჭყებიას და ჯგალის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორის ვ. კვარაცხელიას ახალი სასწავლო წლიდან ამ თანამდებობებზე დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნეს ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 7 აპრილის სხდომის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ 1967 Წ. 29 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 583

### წყალტუბოს რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

წყალტუბოს რაიონის ზოგიერთ სკოლაში გარკვეული ღონისძიებები ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ბევრი სკოლა ძირითადად დაკომპლექტებულია უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებით. თანდათანობით მტკიცდება სკოლების ნივთიერი ბაზა. შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ცდილობს შინაარსიანად ჩაატაროს გაკვეთილები. ამ მხრივ გამოირჩევიან მასწავლებლები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში დ. ავალიანი და ე. ჩხეიძე (წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა), ნ. ხაბურზანია (მაღლაკის საშ. სკოლა), ნ. ბოდოკია (გეგუთის საშუალო სკოლა). მათემატიკაში—შ. ბალათურია (მაღლაკის საშუალო სკოლა), გ. ფანცხავა და ლ. ხაჟალია (წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა), თ. გიორგაძე (ფარცხანაყანევის საშუალო სკოლა), ფიზიკაში—დ. ჯანგავაძე (წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა); ქიმიაში—თ. იოსელიანი (წყალტუბოს 1-ლი საშ. სკოლა). დამაკმაყოფილებლად მუშაობენ გერმანული ენის მასწავლებლები ჯ. ჯავახაძე, ქ. ჩოგოვაძე და ს. ასკურავა (წყალტუბოს 1-ლი საშ. სკოლა) და ც. მეგრელიშვილი (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა).

განათლების განყოფილებას მიმდინარე სასწავლო წელს კომპლექსურად შეუსწავლია 12 საშუალო, 9 რვაწლიანი და ყველა დაწყებითი სკოლის მუშაობა. პერიოდულად იწვევა სახალხო განათლების საბჭოს სხდომები.

მიუხედავად აღნიშნულისა, შემოწმებული სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი სისტემატურად არ მუშაობს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის, სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის და მოსწავლეებს არ აძლევს მკვიდრ და საფუძვლიან ცოდნას.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა ფარცხანაყანევის (მასწავლებელი ი. კილაძე), მაღლაკისა (მასწავლებელი ნ. მაღლაკელიძე) და გეგუთის (მასწავლებელი ნ. ბოდოკია) საშუალო სკოლებში. ლიტერატურის გაკვეთილებზე უგულებელყოფილია კომენტირებული კითხვა, ნაწარმოების ტექსტზე მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა, მოსწავლეები ვერ ახერხებენ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ და შინაარსობრივ ანალიზს, მოსწავლეთა მეტყველება ღარიბია, წერის დროს უშვებენ ორთოგრაფიულ, ენობრივ, პუნქტუაციურ შეცდომებს, ხშირად ეს შე\ცდომები მასწავლებლებს შეუმჩნეველი რჩებათ, არადამაკმაყოფილებლად წარმოებს შეცდომების გასწორებაზე მუშაობა. VII—VIII კლასებში საწერ თემებად უმთავრესად არჩევენ ეპიზოდის გადმოცემას, უგულებელყოფილია თავგადასავალსა და დახასიათებაზე მუშაობა. IX—X კლასებში მასწავლებლები მოსწავლეებს ამუშავებენ ზოგადი სახის მიმოხილვით თემებზე, არ ექცევა ყურადღება ცალკეული ნაწარმოების ან მწერლის შემოქმედებაზე მუშაობას.

ქართული ენის სწავლებისას ადგილი აქვს გრამატიკული წესების მექანიკურ გაზეპირებას და ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას, უგულებელყოფილია მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხებზე პრაქტიკული მუშაობა. V—VIII კლასებში გრამატიკის კურსიდან საწერ თემებად შერჩეულია ისეთი საკითხები, რომლებიც მხოლოდ საკლასო სავარჯიშოდ გამოდგება.

მაღლაკის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. დოლაბერიძე არ იცნობს პროგრამას. VII კლასში იგი მეოთხე მეოთხედის მასალის გავლას III მეოთხედში ამთავრებს. მხატვრული ნაწარმოების შესწავლისას წინასწარ აცნობს თემას, იდეას და მხატვრულ სახეებს. მასწავლებელმა „თორნიკე ერისთავის" განხილვა დაიწყო ისტორიული პოემის ცნების განმარტებით, გააცნო მოსწავლეებს პოემის თემა და იდეა, რაც გზადაგზა უნდა გაექეთებინა. ამავე დროს გვერდი აუარა X საუკუნის საქართველოს სოციალურ-პო-

ლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის მოკლე დახასიათება. მეტად დაბალია ამ კლასში მოსწავლეთა მომზადების დონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტად ფლობს საგანს აგრეთვე გეგუთის საშუალო სკოლის IX კლასის მასწავლებელი მ. კილაძე; იგი გაუსწორებლად ტოვებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა წერის კულტურა X კლასებში (მასწავლებელი ნ. ბოდოკია). საკონტროლო წერის დროს 30 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 16 მოსწავლემ. წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლის (მასწავლებელი ქ. ბალანჩივაძე) 28 მოსწავლიდან „2“ მიიღო 8 მოსწავლემ, წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლის 20 მოსწავლიდან 7-მა, ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის (მასწ. უ. ციბაძე) 25 მოსწავლიდან—7-მა, მაღლაკის საშ. სკოლის (მასწ. ნ. ხაბურზანია) 30-დან—3-მა.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა რიგ შემოწმებულ სკოლებში. მასწავლებელთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება საქმეს, არ მუშაობს თავის თავზე, მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს, მოსწავლეებს არ აძლევს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს, არ ავარჯიშებს ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაზე. ამ საგანში დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე წყალტუბოს მეორე და ფარცხანაყანევის საშუალო სკოლების X კლასებში (მასწავლებლები ბ. მაღლაკელიძე, მ. გეგიაძე). საკონტროლო წერებმა დაადასტურა, რომ მოსწავლეებს არ გააჩნიათ საშუალო სიძნელის ამოცანის ამოხსნისათვის საჭირო თეორიული მომზადება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლის X კლასის 19 მოსწავლიდან საკონტროლო წერის შედეგად არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 17-მა, ხოლო ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის X კლასის 25 მოსწავლიდან—21 მოსწავლემ და მათგან თითოეულ სკოლაში ხუთმა ისეთმა მოსწავლემ, რომლებიც სასწავლო წლის მეორე მეოთხედში შეფასებული იყვნენ „4“-ზე.

დაბალ მომზადებას ამჟღავნებენ მათემატიკაში წყალტუბოს პირველი საშუალო სკოლის V კლასის (მასწავლებელი ლ. ჩხეიძე) მოსწავლეები; მასწავლებელი გაკვეთილებს ატარებს მეთოდურად გაუმართავად, უნაყოფოდ კარგავს დროს მათემატიკური ცნებებისა და მოქმედებათა წესების ზეპირსიტყვიერ გამეორებაზე, სათანადო საილუსტრაციო მაგალითების მოყვანის გარეშე. მოსწავლეებმა წესები ზეპირად სწორად იციან, მაგრამ არ ესმით მისი შინაარსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი მოსწავლეებს არ ავარჯიშებს ამოცანების ამოხსნაზე, უგულებელყოფს მათ დამოუკიდებელ მუშაობას; არ ამახვილებს ყურადღებას ზეპირ ანგარიშზე, არ ასწორებს მოსწავლეთა არამართებულ გამოთქმებსა და განსაზღვრებებს, არ აწარმოებს მიმდინარე შეფასებას. ასევე დაბალ დონეზე ისწავლება მათემატიკა წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლის VII და VIII კლასებში (მასწავლებელი ც. კვერნაძე). მასწავლებელი არ ასწორებს მოსწავლეთა საშინაო წერითი დავალებებისა და საკლასო წერის რვეულებს, რომლებშიც უაზრო ჩანაწერებია. მოსწავლეთა არასწორ პასუხებს ტოვებს გაუსწორებლად და ზოგჯერ თვით მასწავლებელიც უშვებს შეცდომებს. მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს მასწავლებელი მ. ციბაძე (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა). VIII კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი საპროგრამო მასალა, ამოცანების ამოხსნისას ისინი დაფაზე არასწორ ნახაზებს აკეთებენ, მათ არ იციან პარალელური წრფეწირებს შორის მანძილის ცნება და არც მასწავლებელი განმარტავს მას. ასევე არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა მაღლაკის საშ. სკოლის VII და VIII კლასებში (მასწავლებლები თ. მარდალეიშვილი და მ. რიჟამაძე).

შემოწმებულ სკოლებში ფიზიკის სწავლება დაბალ დონეზეა დაყენებული და ვერ პასუხობს იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რასაც სკოლის წინაშე აყენებს მზარდი ტექნიკა. ზოგიერთ სკოლაში არ არის შექმნილი სათანადო სასწავლო ბაზა ფიზიკის სწავლებისათვის და არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახის ლაბორატორიული სამუშაოები და დემონსტრაციები. მაღლაკის საშ. სკოლაში ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილია მცირე ფართობის სათავსო, რომელიც მოუწყობელია, მოუგვარებელია კაბინეტში ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა.

ზოგიერთი სკოლის კაბინეტი გადატვირთულია ერთი და იგივე სახელწოდების ხელსაწყოებით, მაშინ, როცა ფრონტალური ცდებისა და პრაქტიკუმების ჩატარებისათვის აუცილებელი მოწყობილობა არა აქვს. ასე, მაგალითად, წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლას შეძენილი აქვს ორი რეფრაქტორული ტელესკოპი, ფარცხანაყანევის საშუალო სკოლას ოთხი შიგაწვის ძრავას ჭრილი, სამი თერმოგრაფი, ორი ბაროგრაფი და სხვ. ზოგიერთი ხელსაწყო არ არის ხმარებისათვის მოხერხებულად განლაგებული, არ ხდება მათი აწყობა—რეგულირება და მცირე დაზიანების შემთხვევაში შეკეთება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულდასმით არ ემზადება

გაკვეთილებისათვის, სრულყოფილად ვერ ფლობს ფიზიკის ექსპერიმენტის ტექნიკას და დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს. სკოლებში ყურადღება არ ექცევა პრაქტიკული ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს, რის შედეგადაც საგანი ისწავლება ზერელედ.

წყალტუბოს პირველი საშუალო სკოლის VII კლასში მასწავლებელმა მ. ბაბუხადიამ ძალიან მოკლე დროში ახსნა ახალი მასალა „კრისტალური ნივთიერებათა დნობა და გამყარება", ასევე დაბალ დონეზე ჩაატარა გაკვეთილი X კლასში. ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი ჟ. ბაბუნაშვილი) არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა გაკვეთილი „არამილევადი რხევების მიღება. მილკიანი გენერატორი" და თვით მასწავლებელსაც გაუძნელდა მისი ახსნა. წყალტუბოს პირველი საშუალო სკოლის VI კლასში მასწავლებელმა ლ. ჩხეიძემ ვერ შეძლო „ატმოსფერული წნევის გაზომვა. ბარომეტრი—ვერცხლისწყლიანი და ანეროიდის" გარკვევა სათანადო დემონსტრაციებით და მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა დარჩათ აღნიშნულ საკითხებზე.

სუსტად იციან გავლილი საპროგრამო მასალა და არ შეუძლიათ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკლად გამოყენება გეგუთისა (მასწავლებელი ც. სირაძე) და მაღლაკის (მასწავლებელი ბ. შალამბერიძე) საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლეებს. მათ ნათელი წარმოდგენა არ აქვთ მუდმივი დენის კანონებზე, ცვლადი დენის მიღებაზე, ელექტრული ენერგიის გადაცემასა და გამოყენებაზე, რხევით კონტურში ენერგიის გარდაქმნასა და გამოსხივებაზე. ამ კლასების ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ მოახერხა საოჯახო ელექტრული ხელსაწყოების სიმძლავრისა და ძაბვის დასახელება და მასში გამავალი დენის გამოანგარიშება. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი რ. ბანძელაძე, ლ. ნემსიწვერიძე) მოსწავლეებმა.

შემოწმებულ ზოგიერთ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული ქიმიის სწავლება. წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ნ. ბუხრიკიძე) მოწყობილი არაა ქიმიის კაბინეტი, საგნის სწავლება მიმდინარეობს ზეპირსიტყვიერად, ცდებისა და დემონსტრაციების გარეშე. ამის შედეგად, VIII—X კლასების მოსწავლეებს არ გააჩნიათ ჩვევები პრაქტიკული მუშაობისა, რის გამოც ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ საგნისადმი. ამ საგანში გავლილი საპროგრამო მასალის უცოდინარობა გამოამჟღავნეს IX კლასის მოსწავლეებმა, ისინი ვერ ერკვევიან დადებით და უარყო-

ფით ვალენტობის ცნებაში, ვერ განმარტავენ მას ელექტრონული გაგებით, არ იციან ნაერთების გრაფიკულად გამოსახვა, ხსნარებზე წარმოდგენა არ აქვთ ექვივალენტის ცნებაზე და ხსნართა კონცენტრაციის გრაფიკულად გამოსახვის ხერხებზე. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი X კლასშიც.

სკოლაში არ წარმოებს ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე.

ქიმიაში დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის VIII—X კლასების მოსწავლეებმა. სკოლას სათანადო ბაზა გააჩნია, მიუხედავად ამისა, მასწავლებლები თ. დახუნდარიძე, დ. ლანჩავა, ფ. ლომინაშვილი სათანადოდ ვერ იყენებენ მას სწავლებაში. დ. ლანჩავა დამწყები მასწავლებელია, მას ბევრი მუშაობა სჭირდება ამ საგნისა და მისი სწავლების მეთოდიკის დასაუფლებლად, ხოლო ფ. ლომინაშვილი სპეციალობით გეოგრაფია და არ შეუძლია ქიმიის სწავლება. IX—X კლასებში მასწავლებელი (თ. დახუნდარიძე) ნაკლებად ატარებს პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს. შემოწმებულ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას კლასგარეშე მუშაობა ქიმიაში.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ელექტროტექნიკა წყალტუბოს რაიონის მეორე (მასწავლებელი რ. ბანძელაძე) და ფარცხანაყანევის (მასწავლებელი ჟ. ვაშაკიძე) საშუალო სკოლებში. მასწავლებლები სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, სწავლებაში ვერ იყენებენ თვალსაჩინოებას, ნაკლებად ატარებენ პრაქტიკულ სამუშაოებს, ახალი მასალის გადაცემისას არ იმარჯვებენ ფიზიკაში შესწავლილ საკითხებს და უგულვებელყოფენ მოსწავლეთა მომზადებას შემდგომი პრაქტიკული საქმიანობისათვის.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება გერმანული ენა ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის IX კლასში (მასწავლებელი ქ. აბულაძე). მოსწავლეებმა არ იციან საპროგრამო მასალა, უჭირთ კითხვა, არ გააჩნიათ საჭირო სიტყვათა მარაგი, რათა მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე გასცენ პასუხი და არ შეუძლიათ შესწავლილი გრამატიკული მასალა დაუკავშირონ ტექსტს. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლის IX—X კლასებში (მასწავლებელი ლ. რიჟინაშვილი). არადამაკმაყოფილებელია, აგრეთვე, შემოწმებული სკოლების საკლასო-საშინაო და სალექსიკონო რვეულები, დაუდევრად სწორდება საკონტროლო წერითი ნამუშევრები. სკოლები უზრუნველყოფილი არ არის უცხო ენების სწავლებისათვის საჭირო ტექნიკის საშუალებებით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას საგრძნობლად უშლის ხელს ის გარემოება, რომ ბევრგან საათები დაქუცმაცებულია, ასე, მაგალითად, მაღლაკის საშ. სკოლაში ფიზიკის 32 საათი განაწილებულია ოთხ მასწავლებელზე, ხოლო ფარცხანაყანევის საშუალო სკოლაში ქიმიის 29 საათი — სამ მასწავლებელზე.

რიგ სკოლებში დაბალია აკადემიური მოსწრება, განსაკუთრებით ცალკეულ კლასებში. ფარცხანაყანევის საშ. სკოლის IX კლასში სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგად ვერ ასწრებს 31 მოსწავლიდან 6, X კლასში—26-დან 5, გეგუთის საშუალო სკოლის IX კლასში—34-დან 10, VII კლასში—28-დან 7, მაღლაკის საშ. სკოლის IX კლასში—36-დან 12, წყალტუბოს რაიონის მეორე საშუალო სკოლის V კლასში—26-დან 9, VI კლასში—28-დან 7, წყალტუბოს პირველი საშუალო სკოლის IX კლასში—35-დან 10, IX კლასში—34-დან 8 მოსწავლე.

წყალტუბოს რაიონის მეორე, ფარცხანაყანევის, გეგუთის საშ. სკოლებში ადგილი აქვს ცალკეულ საგნებში მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასების შემთხვევებს.

სკოლების წლიური სამუშაო გეგმები ძირითადად უზრუნველყოფს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვას, მაგრამ ზოგჯერ მათში საკმაო კონკრეტულობით არ არის წარმოდგენილი ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესებისა და აღმზრდელობითი მუშაობის ყველა სფეროს მომცველი კომპლექსური ღონისძიებანი.

წყალტუბოს, პირველი, მეორე, მაღლაკის და ფარცხანაყანევის საშ. სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. ცხრილში ზოგი დღეები გადატვირთულია ძნელად ასათვისებელი საგნებით, აღნიშნული საგნები ცხრილში მოქცეულია VI გაკვეთილებად. წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლის IX კლასში შრომითი სწავლების ნაცვლად შეტანილია ელექტროტექნიკა.

საკლასო ჟურნალების წარმოება წყალტუბოს მეორე, ფარცხანაყანევისა და გეგუთის საშ. სკოლების ზოგ კლასებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, დამუშავებული მასალა არასწორად არის შეტანილი. რიგ შემთხვევებში სწორად არაა გამოყვანილი მიმდინარე შეფასების საფუძველზე მეოთხედური ნიშნები. წყალტუბოს მეორე საშ. სკოლის X კლასში მოსწავლე სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაა შეფასებული საზოგადოებათმცოდნეობაში და მეოთხედების ბოლოს აქვს ნიშანი „4", უცხო ენაში გამოკითხულია ორჯერ, მიღებული აქვს შეფასება „2" და „4", მეოთხედის ბოლოს კი „4". გეგუთის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ქართულ ლიტერატურაში ორჯერაა გამოკითხული, მიღებული აქვს ორივეჯერ „2" და მეოთხედის ბოლოს აქვს „3" და ა. შ.

მასწავლებელთა მუშაობაში გამოვლინებული ნაკლოვანებები უმთავრესად შედეგია იმისა, რომ შემოწმებული სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში ღრმად ვერ სწვდებიან მასწავლებელთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, არ აძლევენ მათ საჭირო მითითებებს საგნის სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ი. შელაძე):

ა) აღნიშნული ბრძანება განიხილოს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, დასახოს ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლების მუშაობაზე, გამოავლინოს არსებული ნაკლოვანებები და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი სწავლებისა და აღზრდის მოწოდების სიმაღლეზე დასაყენებლად;

გ) სასწავლო წლის ბოლოს შეისწავლოს ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა, ხოლო მათ შესახებ, რომლებიც არსებითად არ გარდაქმნიან მუშაობას, სათანადო წესის დაცვით დააყენოს საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

დ) გაითვალისწინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსებზე ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებელთა გაგზავნა;

ე) გაატაროს ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების სრულყოფილად მოწყობისათვის, მათ შესავსებად საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით;

ვ) სასწავლო წლის ბოლოს გადაისინჯოს სკოლების დირექტორებისა და მათი მოადგილეების შემადგენლობა და ისინი, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც თავს ვერ ართმევენ მასზე დაკისრებულ მოვალეობას, შეცვალოს საქმის მცოდნე და უნარიანი მუშაკებით;

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ წყალტუბოს პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ო. მხეიძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში მ. კვიმსაძე, მაღლაკის საშუალო სკოლის დირექტორი რ. ღაჭავა, დირექტორის მოადგილე შ. ბაღათურია, წყალტუბოს მეორე საშ. სკოლის დირექტორი ა. ნამგალაძე და ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. მესხორაძე საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომის მიერ დასჯილნი არიან, ხოლო გეგუთის საშუალო სკოლის დირექტორს ქ. სულუხიას განათლების განყოფილების მიერ გამოცხადებული აქვს სასტიკი საყვედური.

3. საგნის სწავლების სუსტად დაყენებისა და მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნ. ბოდოკიას (გეგუთის საშუალო სკოლა), მათემატიკის მასწავლებლებს ბ. მაღლაკელიძეს (წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლა), მ. გეგიაძეს (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა); ფიზიკის მასწავლებელს ჟ. ბაბუნაშვილს (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

4. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში მასწავლებლებს ი. კილაძეს (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა), ნ. მაღლაკელიძეს (მაღლაკის საშ. სკოლა); მათემატიკის მასწავლებლებს ლ. ჩხეიძეს (წყალტუბოს პირველი საშ. სკოლა), ც. კვერნაძეს (წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლა) მ. ციბაძეს (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა), თ. მარდალეიშვილს და მ. რიჟამაძეს (მაღლაკის საშ. სკოლა); ფიზიკის მასწავლებლებს ც. სირაძეს (გეგუთის საშ. სკოლა), მ. ბაბუხადიას (წყალტუბოს I საშ. სკოლა), ბ. შალამბერიძეს (მაღლაკის საშ. სკოლა), რ. ბანძელაძეს (წყალტუბოს მეორე საშ. სკოლა); ქიმიის მასწავლებლებს ნ. ბუცხრიკიძეს (წყალტუბოს მეორე საშ. სკოლა), თ. დახუნდარიძეს (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა); გერმანული ენის მასწავლებლებს ც. მეგრელიშვილს (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა), ლ. რიჟინაშვილს (წყალტუბოს მეორე საშ. სკოლა) მიეთითოთ.

5. ახალი სასწავლო წლიდან, როგორც არა სპეციალისტებს ჩამოერთვათ ქიმიის საათები ფ. ლომინაშვილს (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა), ელექტროტექნიკის საათები—უ. ვაშაკიძეს (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა).

6. ახალი სასწავლო წლიდან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მ. კილაძეს (გეგუთის საშ. სკოლა) მიეცეს გაკვეთილები მხოლოდ V—VIII კლასებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სკოლების სამმართველომ (ნ. ჯავახია) 1967 წლის IV კვარტალში შეამოწმოს წყალტუბოს რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 24 მარტის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 29 აპრილის ბრძანება №585

### ქ. თბილისის ბაგა-ბაღების ბაგის ჯგუფების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ ქ. თბილისის ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის, ოქტომბრის, 26 კომისრის და პირველი მაისის რაიონების ბაგა-ბაღებში ადგილი აქვს ბაგის ჯგუფების ბავშვებით არასწორად დაკომპლექტების შემთხვევებს. ზოგიერთი ბაგა-ბაღის გამგე არღვევს ზემდგომი ორგანოების დადგენილებით დამტკიცებულ „დროებით დებულებას სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების ბაგა-ბაღის შესახებ“, განათლების სამინისტროს მითითებებს ბაგის ჯგუფების დაკომპლექტების შესახებ და ბაგის ჯგუფის დაკომპლექტებას აწარმოებს არა ორი თვის ასაკის, არამედ ერთი წლის და უფრო მეტი ხნის ბავშვებით, რაც აფერხებს მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ძუძუმწოვარა ბავშვების ბაგა-ბაღში მოთავსების შესახებ.

შემოწმებით დადგინდა, რომ ქ. თბილისში 2 თვის ასაკიდან ერთ წლამდე ბავშვების დიდი რაოდენობაა დარჩენილი ბაგის გარეშე. ქ. თბილისის ოცდაათ შემოწმებულ ბაგა-ბაღიდან მხოლოდ 26 კომისრის რაიონის № 2, 12 (გამგეები—ი. კანდელაკი, ქ. ბალანჩივაძე) და პირველი მაისის რაიონის № 6 (გამგე—ვ. მაისურაძე) ბაგა-ბაღების ბაგის ჯგუფებია დაკომპლექტებული ძუძუმწოვარა ბავშვებით.

უმრავლეს ბაგა-ბაღის გამგეები თავს არიდებენ რა ძუძუმწოვარ ბავშვთა მიზიდვას, გულგრილად ეკიდებიან აგრეთვე თავიანთ მიკრორაიონში ძუძუმწოვარა ბავშვების აღრიცხვასაც.

სუსტია ზოგიერთი ბაგა-ბაღის გამგეებისა და ექიმების კონტროლი და ხელმძღვანელობა პედაგოგიურ და სამედიცინო პერსო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მუშაობაზე. №№ 4, 17, 24, 30, 37, 41 ბაგა-ბაღების გამგეები (მ. ხელაშვილი, თ. ოსეფაშვილი, გ. ჭინჭარაული, მ. გაბუნია, ტ. გოგლიჩიძე, რ. მენაბდე) იშვიათად ესწრებიან მეცადინეობებზე და არ აძლევენ აღმზრდელებს სათანადო მითითებებს. შემოწმების დღეს ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის №№ 23, 39, 40, 41 ბაგა-ბაღის აღმზრდელებს—თ. ტაბიძეს, ვ. ჯანაშვილს, ვ. გოგოლიშვილს, ლ. გოგისვანიძეს, ლ. სერდიუკოვას, გ. თვაურს, ნ. დავრიშვილს, ნ. ჯომათიძეს არ აღმოაჩნდათ მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის, დაკვირვების რვეული, ბავშვების დახასიათებები, ასაკის მიხედვით შერჩეული თვალსაჩინოება—სიუჟეტური, საგნობრივი ხასიათის სურათები და სხვ. № 5 ბაგა-ბაღის ბაგის ჯგუფის შემცვლელი აღმზრდელი ჭინჭარაძე ვერ ერკვევა ბაგის ასაკის ბავშვებთან მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში, არ არის კონტაქტში ძირითად აღმზრდელთან და არ იცნობს თავის აღსაზრდელების ასაკს, რის გამოც სათანადოდ ვერ წარმართავს მუშაობას.

უმრავლესი ბაგა-ბაღის ბაგის ჯგუფებში სუსტადაა მუშაობა დაყენებული ერთ წლამდე ასაკის ბავშვებთან, მედდები ვერ ახერხებენ მათთან პროგრამით გათვალისწინებული მასალის შერჩევა-დამუშავებას; ამ ასაკის ბავშვებთან იშვიათად ტარდება მეცადინეობები—საგნის ჩვენება, მარტივი ლექსებისა და სიმღერების მოსმენა, სათამაშოების გამოყენება, რის გამოც ზოგიერთი ბავშვის განვითარების დონე დაბალია. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საძინებელ-სათავსოებში სისუფთავის დაცვის საქმე. №№ 4, 5, 30 ბაგა-ბაღში (გამგე მ. ხელაშვილი, ვ. ისაკაძე, გ. ჭინჭარაული) ბავშვებს სძინავთ ზედმეტი ტანსაცმლით (აცვიათ თბილი მაისურები, ლიფები და სხვ.), მათ თმებზე მოჭერილი ჰქონდათ ბაფთები.

ზოგიერთ ბაგა-ბაღში ადგილი აქვს დღის რეჟიმის დარღვევის შემთხვევებს, არ იცავენ კვების რეჟიმს. №№ 4, 5, 13, 17, 22, 30 (გამგეები მ. ხელაშვილი, ვ. ისაკაძე, ნ. კალანდია, თ. ოსეფაშვილი, თ. ვაშაკაშვილი, გ. ჭინჭარაული) ბაგა-ბაღებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ადრეული ასაკის ბავშვებისათვის მრავალფეროვანი კერძების დამზადებას, 2 თვისა და 7 წლის ასაკის ბავშვებს ერთი და იგივე სახის კერძები ეძლევათ. ზოგიერთი ბაგა-ბაღის გამგეები და ექიმები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კვების საქმეს. ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, № 4 ბაგა-ბაღში სადილის გაცემის შემდეგ სამზარეულოში აღმოჩნდა 5—6 ბავშვის ნორმა—შემწვარი კვერცხი;

შემოწმებულ ბაგა-ბაღებში ნაკლები ყურადღება ექცევა ბაგის ჯგუფების სასწავლო ნივთებითა და შესაფერისი დგამ-ავეჯით უზრუნველყოფის საქმეს. უმრავლეს ბაგა-ბაღს არ აქვს მანეჟი, ბავშვების ტანსაცმლისათვის ინდივიდუალური კარადები, იატაკის საფენი ხალიჩები, ხის გორაკი, შვედური კიბე, არა აქვთ სათამაშოები. მოუწესრიგებელია, აგრეთვე, მედიკამენტებით ბაგა-ბაღების უზრუნველყოფა; ბაგა-ბაღებში ამ დანიშნულებით ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული თანხა, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს მათ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

რაიონის (ქალაქი) განათლების განყოფილებათა გამგეებმა ბაგა-ბაღების გამგეებთან ერთად:

ა) მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 19 მაისის № 338 დადგენილებით დამტკიცებული ბაგა-ბაღის „დროებითი დებულება" და ბაგის ჯგუფების დაკომპლექტება აწარმოონ ორი თვის ასაკიდან, რისთვისაც სასწავლო წლის დაწყებამდე აღრიცხონ თავიანთ მიკრორაიონში ორი თვის ასაკიდან ბავშვები და შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილება;

ბ) იზრუნონ ბაგის ჯგუფებში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ამ მიზნით ყოველდღიური კონტროლი და ხელმძღვანელობა დააწესონ პედაგოგიურ და სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ მეცადინეობებს, გაანალიზონ მათი მუშაობა, გაატარონ სათანადო ღონისძიებები;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საქმე, წესრიგში მოიყვანონ ბავშვების ინდივიდუალურად დაკვირვებისა და მათი დახასიათების წარმოება;

დ) მკაცრი კონტროლი დააწესონ სამზარეულოს მუშაობაზე, ყურადღება მიაქციონ კვების ნორმის თვითეულ ბავშვამდე დაყვანას;

ე) განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ დღის რეჟიმის ზუსტად შესრულებაზე, არ დაუშვან ბაგისა და ბაღის ასაკის ბავშვებისათვის ერთნაირი საკვების მიწოდება; იზრუნონ კვების მაღალი ხარისხისა და კალორიანობის დასაცავად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) მიიღონ ყველა ზომა, რათა ბაგის ჯგუფები უზრუნველყოფილ იქნან დგამ-ავეჯით, სათამაშოებითა და სასწავლო ნივთებით;

ზ) პირველი მაისის №№ 23, 39, 40, 41 ბაგა-ბაღების აღმზრდელებს — ნ. დავრიშვილს, ნ. ჯომათიძეს, ლ. სერდიუკოვას, გ. თვაურს, თ. ტაბიძეს, ვ. ჯანაშვილს, ე. გოგოლიშვილს, ლ. გოგისვანიძეს სუსტი მუშაობისათვის მიეთითოთ;

2. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე) რაიონის განათლების განყოფილების გამგეებთან ერთად, მტკიცე კონტროლი დააწესოს ბაგა-ბაღების მუშაობაზე, პერიოდულად შეამოწმოს მათი მუშაობა, გაატაროს საჭირო ღონისძიებები, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ახალ სასწავლო წლიდან ქ. თბილისში შექმნას ბაგის აღმზრდელთა მეთოდ-გაერთიანება და ბავშვთა ასაკის მიხედვით მეთოდური სექციები.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან ერთად (ამხ. ნ. კაკაურიძე) გაითვალისწინოს ბაგა-ბაღის მედდების გადამზადება.

4. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე) ახალ სასწავლო წლისათვის შეიმუშაოს ბაღის ჯგუფების მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის, ერთკვირეული კვების და სხვა საჭირო დოკუმენტაციის ნიმუშები და წარმოადგინოს განათლების სამინისტროში განსახილველად.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ბაგა-ბაღების ბიუჯეტში გაითვალისწინოს მედიკამენტების შესაძენად საჭირო ასიგნობანი.

6. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე განათლების სამინისტროსათვის ბაგისა და ბაღის უმცროსი ასაკის ჯგუფებისათვის იატაკის საფენის (ხალიჩების) საჭირო ფონდის გამოყოფის შესახებ.

7. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უმოკლეს დროში უზრუნველყოს ბაგა-ბაღების ბაგის ჯგუფები საჭირო სასწავლო-თვალსაჩინოებითა და დგამ-ავეჯით.

8. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) წარმოადგინოს დასაბუთებული წინადადებანი ბაგის ასაკის ბავშვთა კონტინგენტის მომსახურების საქმის არსებითად გაუმჯო-

ბესების შესახებ და ზედამხედველობა დააწესოს ამ ბრძანების შეს-
რულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 28 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 3 მაისის ბრძანება № 587

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი-პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდური კაბინეტის, შრომითი-პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტად გარდაქმნის შესახებ

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წ. 13 იანვრის № 343 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

